*დანართი №1*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს მარნეულის კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნინო ბეგლარაშვილი

**წევრები:**

ქეთევან ღვანიძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების  სახელწოდება: შპს მარნეულის კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არაგეგმიური

☐ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 17 ივნისის N679709 ბრძანების საფუძველზე „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს მარნეულის კოლეჯში (მისამართი: ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 ივნისს.

შპს მარნეულის კოლეჯმა გააკეთა განაცხადი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 62. დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი დამატებით კიდევ 38 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვების შესახებ.

კოლეჯის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა განაპირობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული პროგრამის მოთხოვნის მაღალმა მაჩვენებელმა. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ხსენებული საფუძველი ვიზიტისას დეტალურად იქნა ახსნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ, შესაბამისი მტკიცებულების წარდგენით. კოლეჯის აკადემიურმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორმა, ქალბატონმა ნინო გომელაურმა განმარტა, რომ სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის დაწყების პარალელურად გაიზარდა მოთხოვნა საბავშვო ბაღების მხრიდან კვალიფიციურად მომზადებულ აღმზრდელებზე. ამის დასტურია, როგორც რეგისტრაციისას დაფიქსირებული აპლიკანტთა მაღალი მაჩვენებელი, ისე სოციალური მედიის სივრცეში მიღებული მრავალი შეტყობინება, სადაც მოქალაქეები აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის სურვილს გამოთქვამენ. როგორც გაირკვა, მაღალია აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელიც (90%). ამასთან, ქვემო ქართლის რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, რაც დასაქმების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ზრდის.

დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები და მატერიალური რესურსი.

### III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| აღმზრდელი | 62 | 52 | 2 | 4 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **აღმზრდელი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **<u>ყველა ხარვეზი</u>** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

**ინდიკატორი 2.2.1.4** სასურველია, დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის ხელმძღვანელის უნარების გაძლიერებაზე, უშუალოდ ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, თუნდაც სხვა პროგრამების უკვე გამოცდილი ხელმძღვანელებისგან კონსულტაციების მიღების გზით.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 9 ივლისის #847736 კორესპოდენციით წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებს. შესაბამისად, დასკვნის პროექტში მოცემული გარემოებები დარჩა უცვლელი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

*ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აღმზრდელი |
| პროფესიული განათლების დონე | V |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | კოოპერაციული |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 38 (კოოპერაციული) |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 52 (კოოპერაციული) |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 100 (კოოპერაციული) |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

*იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:*

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. წარმოების ფარგლებში ადგილზე ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამა „აღმზრდელის“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

- A გარემოსთვის სამი აუდიტორია (#221, 216# და # 214), რომელიც ჯამში აღჭურვილია საჭირო რესურსით 70 პროფესიულ სტუდენტზე. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია: 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი 1 მონიტორი და 1–ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 100 პროფესიული სტუდენტს, ორი მიღების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით. A, B გარემოსა და პრაქტიკის კომპონენტის მეცადინეობების მონაცვლეობით სხვადასხვა ჯგუფისთვის სასწავლო გეგმის შედგენა შესაძლებლობას იძლევა, რომ A გარემოსთვის გამოყოფილი სივრცეები იყოს საკმარისი.

- B გარემოსთვის ორი აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია საჭირო რესურსით - გამართულია ჯამში 32 კომპიუტერი სტუდენტებისთვის და თითო-თითო მასწავლებლისთვის. სასწავლო გეგმის შედგენისას სხვადასხვა ჯგუფისთვის მეცადინეობების მონაცვლებით განაწილება B გარემოში, საშუალებას იძლევა არსებული რესურსით მიღწეული იქნეს სწავლის შედეგები მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის სტუდენტების მიღების შემთხვევაშიც. იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული A და B ტიპის გარემო საკმარისი იქნება სტუდენტთა ზღვრული რაიოდენობის გაზრდის შემთხვევაში, კოლეჯმა წარმოადგინა აუდიტორიების საათობრივი დატვირთვა ყველა პროგრამის ფარგლებში

- საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მარნეულის, დმანისის, ბოლნისის და თეთრიწყაროს ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან (24 საბავშვო ბაღის მითითებით, ჯამში 100 სტუდენტისთვის). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაწესებულებას გარდა ამ ორი მოდულისა პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე დამატებით გააქვს რამოდენიმე მოდული, როგორიცაა „ჯანმრთელობა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოება“ დაკვირვება შეფასება“ და „ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებები“, რაც კიდევ უფრო უმყარებს ცოდნას კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს და საშუალებას აძლევს დაწესებულებაში მიღებული თეორიული ცოდნა გაიღრმაონ პრაქტიკით, რეალურ სამუშაო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ მარნეულის ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემავალ ერთ–ერთი დაწესებულების ხელმძღვანელს. გასაუბრებით დადასტურდა სრულ მზაობა და ჩართულობა, ასევე ვალდებულება, რომ პრაქტიკის ობიექტზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, საგანმანათლებლო პროცესში პროფესიულ სტუდენტებს არა აქვთ რაიმე შეფერხება მატერიალურ რესურსთან მიმართებაში და ყველანაირი მასალებით უზრუნველყოფილნი არიან როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტზე. აღმოჩნდა, რომ პარტნიორი დაწესებულება დაკომპლექტებულია 12 აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით. პროფესიულ სტუდენტებს მონაცვლეობით ანაწილებენ ბავშვთა ჯგუფებში, მათი ასაკობრივი თავისებურებების შესწავლის მიზნით. ბაგა–ბაღის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ დამოუკიდებლად მოამზადონ სხვადასხვა აქტივობა, აწარმოონ ვბავშვთა დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები, შეიმუშაონ დღის განრიგი და მოამზადონ პრეზენტაციები თუ პროექტები.

**ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ჰყავს 25 პროფესიული განათლების მასწავლებლი (თითო მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი). დაწესებულების მიერ, ექსპერტებისათვის მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დატვირთვის დოკუმენტის თანხმად, არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს და ჩანს, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა ადეკვატური და საკმარისი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას პერსონალის მართვის წესით განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს დარგის მიმართულებით ან უმაღლესი განათლება, ან პროფესიული განათლება, ან სულ მცირე ორწლიანი სამუშაო გამოცდილება, ან გადამზადების დოკუმენტი, ან შესაბამისი მომზადება/სერტიფიცირება. დაწესებულებას ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაუბრება ჩატარდა პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულების მიერ მოწოდებული პირადი საქმეების შესწავლითა და ჩატარებული ინტერვიუებით, დასტურდება, რომ პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია. შესწავლილი პირადი საქმეების შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ ყველა პროფესიულ მასწავლებელს უფიქსირდება შესაბამისი მოდულის ცოდნის კვალიფიკაცია განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით და/ან სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში. აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულებას პერსონალის მართვის წესში განსაზღვრული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მისი პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). პროგრამის ხელმძღვანელს თავადვე აქვს დამთავრებული „აღმზრდელის“ პროფესიული პროგრამა, ამჟამადაც დასაქმებულია ერთ-ერთ საბავშვო ბაღში. შესაბამისად, მას აქვს როგორც შესაბამისი კვალიფიკაცია, ასევე პრაქტიკული გამოცდილებაც დარგში. თუმცა ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულება მისთვის ახალი გამოცდილებაა, შესაბამისად, სასურველია, დაწესებულებამ იზრუნოს მისთვის უშუალოდ ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო უნარების გაძლიერებაზე, თუნდაც სხვა პროგრამების უკვე გამოცდილი ხელმძღვანელებისგან კონსულტაციების მიღების გზით. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით ან ელექტრონული ფორმით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერში და ასევე ბიბლიოთეკაში არსებობს დისკების სახითაც. კოლეჯის ელექტრონული წიგნების ნაწილი ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რომელთა გამოყენებითაც პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ დისკებით ან ამობეჭდონ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონულად არსებული სასწავლო მასალა. სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურებს, კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ამასთან, პროგრამის თითოეულ მოდულს ახლავს რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. ეს ყოველივე დაწესებულებას აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

7. დაწესებულებამ წარმოადგინა წინა სასწავლო წლების პროგრამის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტის შედარებით ანალიზსაც. აღნიშნულ ფორმაში დეტალურადაა ნაჩვენები გასულ წლებში პროგრამის შემოსავალი და ხარჯვითი ნაწილი. ანალიზი უჩვენებს, რომ პროგრამა ხოერციელდება სტაბილურად,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფინანსური დანაკლისის გარეშე და უფრო მეტიც, შემოსავალი საშუალებას იძლევა კოლეჯმა მოგების წილი გამოიყენოს დაწესებულების განვითარების მიზნებისთვის. პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1. პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
2. განმახორციელებლების პირადი საქმე;
3. პროგრამის შეფასების ფორმა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
5. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
7. ვიზუალური დათვალიერება;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 07.07.2025



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: